1909 წ. გამოც. 7. ფასი ყველგან 10

იუმორ. ალმანახი

ეშმაკის მათრახი

ალმანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამომცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Типографія Т-ва «Шрома» для Алманаха.

9525

Библиотека Академии наук имени Акад. И. Джавахишвили

მრევლს აღვიძებენ.

„შინაურ საქმეს“ ჩახედე
(ქუთაისს ცხვება რომელი,
საღვთის-მეტყველო გაზეთი
სისულელ-განუზომელი)
და გულს ეამა ჩახედვა
სახელდა-ხელო, უცები...
მრევლს აღვიძებენ, (გაიგეთ?!)
მრევლს აღვიძებენ ხუცები,
იმ დაწყევლილმა „ერთობამ“
ხალხს დაუბნია კვალიო,
სარწმუნოების ქურუმებს
მრევლმა აღაპყრო თვალიო
კუჭი დაიდგა ხატადა
მას ანაცვალა სულიო,
გაირყვნა, ურწმუნოებით
გაჟღენთილ-გაბაწრულიო,
არ ზრუნავს საიქიოზე
ტკბილს ედემს აღარ ეტრფისო,
და მართალ სიტყვას, თუ არ ჩვენ
აბა სხვა ვინღა ეტყისო.
გამოიღვიძეთ, მოძმენო,
ზეცას მიაპყარ თვალები
სულს ანაცვაღეთ, შესწირეთ
თქვენი ხორცი და ძვალები.
გამოიღვიძეთ...ჩვენზედაც
გამოიბრუნეთ გულები
ნუღა გვაჩივლებთ, მოგვეცით
ოხერი დრამის ფულები...
გამოიღვიძეთ, მოყვასნო,
ერწმუნეთ ჩვენსა სიტყვასა,
გაიღეთ შესაწირავი
სული რომ ზეცად მიყავსა.

?



ორი ეშმაკი.

რაც მართალია, მართალია!

პირ. ეშმაკი. სასტიკი განაჩენია რჯულის მადლმა: ჩააცივდენ, კაცო ამ გვაზავას და აღარ აძლევენ საშველს: კაცი დაიცო, ხომ არ დაუსჯია!!

მეორე ეშმაკი. მეც მიკვირს, შენმა გაზრდამ, აქაო და ქართველი პატრიოტიაო, მერმე ქართველმა პატრიოტმა რუს პატრიოტს არ უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი?! ეგ სადაური კანონია თქვენმა მზემ!

პ. ეშმაკი. ჩემის აზრით, საუკეთესო ვექილათაც უნდა ჩაითვალოს, რადგან რაც სხვა ვექილებმა ვერ შესძლეს, ის მან, გვაზავამ მოახერხა...

მ. ეშმაკი. არა, ეს კი შეცდომა იქნება... საქმე შეძლებაზე კი არ ყოფილა, საქმე კადრებაზე იყო და კაცი ყველაფერს რომ იკადრებს, ესეც დიდი ღვთის წყალობაა. მე ძლიერ მძულს უკადრისი ადამიანი.

პ. ეშმაკი. არც მე მიყვარს, მართალი მოგახსენო.

მ. ეშმაკი. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის კაცთ-მოყვარეობა, რომელიც გვაზავამ ჭიათურელი პრისტავის დაცვის დროს გამოიჩინა.

პ. ეშმაკი. სწორეთ თავ-განწირულია მოყვასთათვის... რაც მართალია, მართალია!.. რას ერჩოდენ იმ პრისთავს?

მ. ეშმაკი. აბა, რა ვიცი; მოუდვეს შარები, აქაო და ვიღაც გლეხს წვერები დააგლიჯაო; ზოგს მათრახებით ტყავი ააძროო, ზოგს კიდევ რა დღე არ დააყენაო.

პ. ეშმაკი. მერე გლეხების გულისთვის მისცეს სამართალში? ოჰ, ძალნო ჯოჯოხეთისანო, როგორ გაირყვნა ქვეყანა!

მ. ეშმაკი. მისცეს ხომ მისცეს, მარა, მოგეცა სიცოცხლე, გიორგი გვაზავამ ის გაამართლა. „ბატონებოო,—უთხრა სუდიას,—წვერში რომ სტაცა ხელი პრისტავმა, მოსაგლეჯათ როდი უტაცნია, ის დარიგებას აძლევდაო, და მათრახი თუ ვისმე დაჰკრა, ისიც ალბათ მათრახის გასინჯვა უნდოდა, რადგან მეუნაგრეები ახლა ძლიერ ცუდი ღირსების მათრახებს ატყუებენ მყიდველებსო“.

პ. ეშმაკი. ოი იმას კი ვენაცვალე ენის კლიტეში და ცილინდრის კუნჭულში. მოდი ახლა და ენდვე შენ ვინმეს: ასეთი ნაკურთხი დამცველი რომ არ გამოსჩენოდა, კეთილ-შობილ ბოქაულს ვიღაც ვიგინდარა გლეხების წვერებიზა ციხეშიაც კი ჩააგდებდენ.

მ. ეშმაკი. ნასწავლი კაცი ამიზაა კაი ჩემო ძამია: ისე დააჭახრაკებს ენას, რომ თუ გინდა ყორანს გაათეთრებს. კედია ისე გაასპეტაკა, რომ მერე კინაღამ ღენერალ-ღუბერნატორობა მისცეს.

პ. ეშმაკი. ქანქარსაც ბლომათ ააკრავდა ხალხის სიმპატიაც დაიმსახურა.

მ. ეშმაკი. ქანქარი სად ექნებოდა საწყალ ბოქაულს! მეტადრე იმ დროს, როცა მთელი ჭიათურა მის ანაბარა იყო მიტოვებული. სიმპატია კი დიდი მოიხვეჭა. ამბობენ, ჭიათურის მოქალაქეებმა ადრესი მოართვესო.

პ. ეშმაკი. ახლა ვის იცავდა?

მ. ეშმაკი. ვისა და ვისი დაცვაც სხვას არ უკადრებია, თუმცა არა მჯერა ყოველივე ეს. თფილისის ვექილატურა არც ისე ღარიბია გვაზავური ვექილებით რომ ის მარტო დარჩენილიყო.

პ. ეშმაკი. არა, შენ ის მითხარი, ვის იცავდა?

მ. ეშმაკი. ვის იცავდა და ყოფილ გამგეს სახაზინო თეატრისას. რაღაც „ნედორაზუმენიე“ მოსულოდა ერთ მუშასთან და ამაზე ამდგარიყო ხათაბალა.

პ. ეშმაკი. რა ხათაბალა, ალბათ უბრალო რამე იქნება.

მ. ეშმაკი. სრულიად პუსტიაკი. მუშა შეიკვანა თურმე ოთახში; მერმე მოისმა თურმე ყვირილი; მერმე ლაწანის ხმა და მერმე ოთახიდან მუშა გამოასვენეს; საწყალი შიშით მომკვდარიყო. თურმე დანარტყამის ნიშანი კი ეტყობოდა, მაგრამ მაინც შიშითა და სისუსტით ჰომკვდარიყო.

პ. ეშმაკი. მერე ერთი მუშის გულისათვის შეაწუხეს ის პატიოსანი კაცი?

მ. ეშმაკი. ვინ შეაწუხებდა, შე დალოცვილო, რომ ვიღაც ლევან ყიფიანს არ ჩაეგდო ეს ამბავი გაზეთში. პოლკოვნიკმაც იწყინა, როგორ თუ ერთი მუშისათვის გაზეთში ჩამაგდესო და ლევან ყიფიანს „ატვეჩაი“ მოსთხოვა.

პ. ეშმაკი. ოჰ, ძალნო ჯოჯოხეთისანო, როგორ გაირყვნა ქვეყანა!

მ. ეშმაკი. იქით ეცა პოლკონიკი, აქეთ ეცა, მაგრამ ღირსეული კაცი ვერ მონახა. უცებ გაახსენდა გვაზავა და ეცა მას: შენი ჭირიმე გიორგი, ერთი მაგი ლევან ყიფიანი ჩამიჯინე ციხეშიო. ძლიერ კარგი, ბატონო ჩემოო და იკისრა უკისრებელი.

პ ეშმაკი. კი, მარა, ია კარგარეთელი რა შუაშია, რომ ისიც გაურიეს შიგ?

მ. ეშმაკი. იას მკვლელობის განზრახვაც ირკვეოდა თურმე, მარა, გიორგიმ ისე მოაწყო საქმე, რომ ყველაფერს სიბნელის კალთა დაეფარა. ამასთანავე უნდა იცოდე, რომ ამ საკითხში ეშმაკიც ბევრს ვერაფერს გაარჩევს.

პ. ეშმაკი. რაც მართალია, მართალია, გვაზაური საქმე ეშმაკსაც კი დაუბნევს კვალს.

მ. ეშმაკი. რა მაგის პასუხია, თეატრში იყავი?

პირველი. ვიყავი.

მეორე. მობრუნდი!

პირველი. (მობრუნდება და ზურგს უჩვენებს).

მეორე. ეკვი არ არის, რომ ყოფილხარ. ზურგი მეწისქვილესავით გათეთრებული გაქვს. რა ნახე?

პირველი. მტერმა ნახოს მე რომ ვნახე!

მეორე. რა იყო? ხომ არ „გვიღალატეს?“.

პირველი. გვიღალატეს და როგორ? სხვას თავი დავანებოთ და სუმბათაშვილმა რომ გაიგოს შენი მტერია ქართველობაზე ხელს აიღებს.

მეორე. არტისტები ხომ კარგათ თამაშობდენ?

პირველი. საუცხოვოთ. მეტის მეტათ ტრაღიკულათ.

მეორე. ზეინაბი ხომ კარგი იყო?

პირველი. რა გითხრა, სიტყვებს ისე აჭერდა ბოლოს, ისე მაგრათ ამბობდა, რომ ძლიერ ტრაღიკული გამოდიოდა.

მეორე. იშხნელმა მაინც ვერ გამოაკეთა წამხთარი საქმე?

პირველი. ისე გამოაკეთა, რომ თუ ის არა, შენი მტერია ყველანი შერცხვებოდენ.

მეორე. აკი ვამბობდი კარგი არტისტი არის მეთქი? შენ კი არ გჯეროდა. ხომ კარგათ ითამაშა?

პირველი. საუცხოოთ.

მეორე. ძალიან შედიოდა როლში?

პირველი. ძალიან. სადაც მაგარი ადგილებია იქ მაგრათ ხან თავს შეიფხანდა და ხან ყურს.

მეორე. საუცხოო იქნებოდა ის, როცა ზეინაბი უმხელს, რომ მისი შვილი ცოცხალია.

პირველი. ისეთი იყო, ისეთი, რომ მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ერთი ისეთი დაიკუთა ტრაღიკულათ, რომ მისი სიცოდვით მთელი ხალხი დაიწვა. მე ცრემლები ველარ შევიმაგრე.

მეორე. ყოჩაღ ბიჭო! ხომ ვამბობდი კარგი არტისტი არის მეთქი. საზოგადოთ ძალიან ეფექტიანათ ჩაივლიდა წარმოგენა.

პირველი. სამაგალითო იყო, როცა ზარის ხმა გაისმა ისეთი რიხინ-რიხინი დააწყებინეს დამტვრეულ ტასტს, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ნერვები ამეშალა.

მეორე. ყველაზე უკეთესი მეტეხის აფეთქება იქნებოდა.

პირველი. ეჰვი არაა. ბარე ასი ფუთი ტყვია წამალი დახარჯეს, მთელი ხალხი კვამლში კინაღამ გამოახრჩვეს და მეტეხი კიდევ ისე ამაყათ იდგა. ბოლოს დაასიეს ათასი კაცი და საღდრის გუმბათი ძლივს გადააგდეს.

მეორე. კაი ყოფილა!

პირველი. კაი დაგემართოს!

მეორე. კიდევ როდის მიდიხარ?

პირველი. როცა ზურგს გავიწმენდ.



მოხსენება თფილისიდან.

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ,—რომლის მიზეზი ეშმაკს მოეხსენება—კვლავ მინდა ჩვეულებრივი მოხსენებით ვასიამოვნო ჩემი მოხუცებული აღმზრდელი. რასაკვირველია, მოხსენება თფილისის სხვა და სხვა ბნელ და ნათელ კუნჭულებიდან იქნება, ვინაიდან მე, როგორც იცით, ჯერჯერობით აქა ვარ გამწესებული სამოქმედოთ.

უეჭველია, ბუნებრივი ნათესაობით აიხსნება ის გარემოება, რომ მე ძლიერ მიყვარს ხოლმე იმ ადგილებში და დაწესებულებებში გასეირნება, სადაც ბლომათ არიან მუშები.

ამიტომაც იყო, რომ უპირველესი „ვიზიტი“ რკინის გზის დეპოს პარკს გავუკეთეყველაფერი წყნარათ გახლდათ. მუშები ხმის ამოუღებლივ ასრულებდენ თავიანთ ვალს და მხოლოდ იმაზე ფიქრობდენ, თუ როდის დაჰკრავდა საყვირი, რომ მოსულიყო დრო ბახუსით შეხურებისა და კარტის თამაშისა!..

თვით დეპოში კი რამდენიმე მუშა ორთქლ-მავალ ქვეშ შემძვრალიყო და აქედან ლამობდა სამუშაოდან გაპარვას...

აქ მეტი, საყურადღებო არაფერი შემინიშნავს, ხოლო სახელოსნოსკენ არ წავსულვარ.

* * *

დარწმუნებული ვარ ოლღას საბებიო ინსტიტუტი მოგეხსენებათ, მაგრამ რაც იქა ხდება არა მგონია მოგეხსენებოდეთ... ის კი მართალია—დიდი იმდენი არაფერი: ჩვეულებრივ კარტის და სხვა მისგვარების თამაში, შემდეგ, დამწუხრებულ თუ გახარებულ გულზე ნუნუას გადასხმა და სხვა ამგვარები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა იცოდეთ. ამასთან, როგორც გავიგე, გაზეთისა შინებიათ თურმე ძლიერ, ისე რომ, ახლოსაც არ ეკარებიან მასაო, როგორც ოსმანა თათარი ღორის ხორცსაო. (იქონიეთ სახეში, რეაქციონერი ოსმანა და არა კონსტიტუციონალისტი!)

* * *

არა ნაკლები ამბავი დატრიალებულა თფილისის საპარიკმახეროში მოსამსახურე მუშათა შორის. წარმოიდგინეთ, ერთი ნაწილი „გაკაპიტალისტების“ გზაზე დამდგარა. და როცა საქმე ასეა მისულა რაღა დროსია მაშინ სხვა რამეზე ფიქრი,—როგორც მაგ., კავშირი, უმუშევარი ამხანაგები, გაზეთი, წიგნი და სხ.? ასეთ დროს მედგრათ უნდა ამოუდგე ხაზეინს გვერდში და იბრძოლო „მამაშვილურათ“ მასთან ერთად, რომ ჩქარა დადგეს ნეტარი დღე და ეს კიდეც შეუგნია ერთ ნაწილს აღნიშნული მუშებისას!.

ღმერთმა ხელი მოუმართოს მათ, თუ „ეშმაკმა“ არაფერი ავნო თავის მათრახით. ეს კი ჩემი საქმე არ არის!

* * *

ავლაბრელებს კულტურულ საქმეში მართლაც რომ არ სწყალობს ბედი. ჰქონდათ ერთი თეატრი,—დაიწვა. ააშენეს ახალი, მშვენიერი, „ლოჟებ-გალერეიანი“, ვიღაც სანიკიძე „ფულს არ ზოგავდა“ თურმე, რომ თეატრი შესაფერი ყოფილიყო! აშენდა კიდეც ლამაზი, კოხტა; დაიწყო წარმოდგენები, შესდგა „ქართული დასი“, მაგრამ... წარმოიდგინეთ,—გაჩნდა კვლავ ცეცხლი და... ავლაბარი კვლავ უთეატროთ დარჩა.

ეს, მართალია, არც ისე ახალი ამბავია, მაგრამ მე უფლება მაქვს ახლათ გავასაღო, ვინაიდან ამის შესახებ არა რა თქმულა ჩვენს გაზეთებში. გასაკვირალია! თუ აშენებაზე იმდენი ილაპარაკეს, დაწვაზე ერთი ორი-ღერი „სამგლოვიარო“ სიტყვა კი უნდა გაემეტებიათ!..

* * *

ის იყო, ზემო მოხსენებული ამბები დავაგროვე და მივდიოდი სადაც ჯერ არს მოსახსენებლათ. მაგრამ შემთხვევით „სოროპანის“ სტამბაში მომიხდა შესვლა. ეს, რასაკვირველია, არც იმდენი საყურადღებოა, მაგრამ, მე მართალი გითხრათ, ძლიერ დამაინტერესა იმ „ჩხუბმა“, რომელიც იქ „ჩამოეგდოთ“ რამდენიმე მომუშავეთ და რომელსაც შემთხვევითვე წავაწყდი. გამოძიებამ, რომელიც ეშმაკის სახელით მოვახდინე, აღმოაჩინა, რომ ასეთი „ჩხუბი“ ხშირათ იმართება თურმე და ჩხუბს სხვა და სხვა გვარ სიტყვებით შემკული ლაპარაკიც მოჰყვება ხოლმე. მე ამაში, რასაკვირველია ცუდს არაფერს ვხედავ, „ეშმაკისა“ კი რა მოგახსენოთ...

ეშმაკის მოციქული.

ღალატი.

(ფარდის ახდის დროა. კულისებში დიდი ჯახა-ჯუხი და ყიჟინია. ფარდა აიხდება. ხცეხა ცარიელია. კულისებში ხმაურობა თან და თან მატულობს. კარები იღება და სცენაზე გამოვარდება ვალერიან ხანი. ხელში მსხვილი თოკი უჭირავს და ვიღაცას თავ-გამოდებით ეწევა სცენისკენ).

ვალერიან ხანი. (ბრაზიანათ) გამოდი, შე სავერანე! გამოდი!

რეჟისორი. (თავს გამოყოფს ლოჟიდან და ყარამან ყათილივით გაჰკივის) მოაწექით, მოაწექით! მისცხეთ პანღური!

ვალერიან ხანი. (უკანასკნელ ღონეს მოიკრეფს და ეწევა თოკს. უცბათ სცენაზე გამოხტება იშხნელ ბეგი. ვალერიან ხანი თავს ველარ შეიმაგრებს და პირაღმა გადიქცევა. იშხნელ ბეგს უკან მოსდევს მთელი ტრუპა და ოჩან ჯორივით ერეკებიან. მის დანახვაზე „პუბლიკა“ აღტაცებაში მოდის. ტაშის ცემას საზღვარი არა აქვს).

იშხნელ ბეგი. (მეტის სიამოვნებისაგან განზე გადგება და პატარა ბავშვივით გაიბუტება. ხან ვალერიან ხანს შეხედავს

და ხან ძირს იყურება. ბოლოს შუბლიდან ოფლს მოიწმენდს და საშინლათ ამოიხვნეშებს) უჰ! მმმ... ვაი! ოჰ!.. (გაჩერდება ჯორივით).

სუფლიორი. (უყვირის) გაადგი ფეხი, წადი ვალერიან ხანისკენ!

იშხნელ ბეგი. (ამოიხვნეშებს მარჯვენა ფეხს განზე გადგამს და ვალერიან ხანს შეხედავს) გაადგი ფეხი... ის... მმმ...

სუფლიორი. (ნახევრათ გამოძვრება ბუდკიდან და უყვირის) გაჩერდი! ყველაფერი, ჩემი სიმდიდრე, სიამაყე, პატიოსნება შემოვიტანე შენს ციხეში...

იშხნელ ბეგი. (ტრაღიკულათ თვალებს დახუჭავს და მარჯვენა ყურს გაანძრევს) ყველაფერი შემოვიტანე შენს... იმაში... იმაში.

ვალერიან ხანი. (გაბრაზებული მივარდება და ყურს აუწევს) ციხეში!

იშხნელ ბეგი. (ტრაღიკულათ ტირილს დაიწყებს) იმაში... იმაში...

სუფლიორი. (ღრიალებს) ციხეში!.. ციხეში!

იშხნელ ბეგი. (ტრაღიკულათ) ციხეში, ციხეში...

ვალერიან ხანი. (გაჯავრებით ქოქოლას აყრის) მეხი კი დაგათხლიშე თავზე!

იშხნელ ბეგი. (ძალიან ტრაღიკულათ თავს შეიფხანს) მეხი კი დამათხლიშე თავზე!

სუფლიორი. სუ! ჩუმათ!

იშხნელ ბეგი. სუ! ჩუმათ! (პუბლიკა აღტაცებაშია. ვალერიან ხანი სიბრაზით კბილებს გაახრჭიალებს და გარბის. შემოდის ზეინაბი. იშხნელ ბეგი ტრაღიკულათ ხმლის კუდს გაანძრევს და გაივლ-გამოივლის).

ზეინაბი. (სიტყვებს მეტის-მეტათ ტრაღიკულათ და მაგრათ ამბობს, იშხნელ ბეგი ორივე ყურებს ანძრევს) ჩემი შვილი ცოცხალია...

იშხნელ ბეგი. (ტრაღიკულათ დაიკუთებს) უჰ! (ამ დროს კულისებში დამტვრეულ ტაშტს კეტს დაკრავენ და საშინელი ხმა მოისმის. იშხნელ ბეგი ტრაღიკულათ შეკრთება და კისრის ტეხით გარბის კულისებში. ლოჟიდან რეჟისორი გადმოხტება, ბუდკიდან სუფლიორი და ორივე დასაქერათ მისდევენ იშხნელ ბეგს. პუბლიკა მრავალგზის ტაშს უკრავს, ფარდა ეშვება. რეცენზენტები დაჟინებით თხოულობენ იშხნელ ბეგს. ბოლოს ის გამოდის ტრაღიკულათ და მადლობას უხდის ყველას) გიღალატე, გიღალატე!

—ი.

ქართველი მოღვაწეები.

ღირსი მამა

სვიმონ მჭედლიძე.

წინასწარი.

სასულიერო პირთა სიუხვით განთქმულია კურთხეული ქვეყანა ჩვენი, მაგრამ თვინიერ ამისა ღღემდე ჩვენს ისტორიულ გამოკვლევათა ბადეს არ მოხვდა არცა ერთი მათგანი, რაიცა დიდ დასაკლისად უნდა ჩაეთვალოს მეისტორიესა ჩვენსა, რისთვისაც ახალი წლიდან ვეცდებით აქაც მოვნახოთ ღირს სასურველნი პირნი და მით ახალ-ახალი ცნობები შევმატოთ ღარიბსა ჩვენსა ისტორიასა.

ბავშვობის ხანა.

სვიმონ მჭედლიძის ბავშვობასა და სიჭაბუკეზე, სამწუხაროთ, ისტორია თითქმის არაფერს ამბობს. სად მიიღო პირველ-დაწყებით სწავლა, სად განატარა ღღენი პირველნი,—ყველა ეს წყვდიადითა არს მოცული. ჭეშმარიტია მხოლოდ ის, რომ სვიმონმა სემენარია დამთავრა ქ. სტავროპოლში და სამშობლოში რუსეთიდან მოგვევლინა.

სვიმონი ვითარცა ერის კაცი.

ერის-კაცობაში სვიმონი ისეთივე პირველი იყო, როგორც მღვდელ-მსახურებაში. რუსეთიდან დაბრუნებული და მაღალ განვითარებული ჭაბუკი დაინიშნა პედაგოგათ სენაკის საოზნაურო სკოლაში. აქ მან დაჰყო ხანი მცირედი, რადგან მიდრეკილება პედაგოგიური მოღვაწეობისადმი იძლეოდა სასყიდელსა არა მრავალსა.

გახსნა სარდაფებისა.

სენაკიდან სვიმონი წარემართა ფოთისაკენ, სადა განაღო დაწესებულება სავაჭრო და ვერა იხილა რა ხეირი, უკუ იქცა მუნით და მორიგრაგნა ქუთაისად, სადა განაღო სარდაფი ღვინეულობისა აღსავსე რუმბებითა და ტიკ-ტიკპორაებითა.

მას ჟამსა შინა ხშირად უხილავთ მცხოვრებთა იმა ქალაქისათა ჭაბუკი სვიმონი მოქეიფეთა ძმა ბიჭთა-თანა დოშლულურითა ხელი-ხელ გადაჭდობითა და არღნითა წინა წამძღვარებულნი მიმავალნი საღორიისა ტყედ, რომელი იმყოფების მახლობლათ ქალაქისა მის.

ხანა ესე იყო უმეტეს სანეტარო ცხოვრებისა მისისა.

დახურვა სარდაფისა.

მაგრამ მაცდური ჯოჯოხეთისა, ეშმაკი ჩაერია საქმესა კეთილსა და აუმღვრია ცხოვრება კეთილი მოვაჭრესა მას. გადაშალეს რა დავთრები თვისი, აღმოაჩინეს განვლინება ქანქართა თვინიერ დავთრისა და მწუხარე იქმნა ამხანაგი იგი სვიმეონისა და განეშორა მას, და წარევლინა სვიმეონი იგი სოფლად მამისა თვისისა მიმართ, რომელი სცხოვრობდა სვირად, მექონე მრევლისა დიდისა.

ქორწინება სვიმონისა.

ჟამსა სვირად ყოფისასა, სვიმონი ყურად-იღებდა რჩევასა მამისა თვისისასა, რომელი ანუგეშებდის მას მწუხარებასა შინა მყოფსა, მგლოვიარესა სარდაფსა ჭედა და ურჩევდის მას ქორწინებასა და მღვდლათ აღკვეცასა. და აი გავლენითა დიდითა გონ-მოკრებილი, სვიმონი ჩვენი მწუხარე ეწევა უკანასკნელსა აქტსა საერო თვისისა მოღვაწეობისასა (ტერმინოლოგიითა ფ. გოგიჩაშვილისათა) და იწერს ჯვარსა.

აღკვეცა მღვდლათ.

შემდგომად ამისა სვიმონი კვალად შთაგონებითა მამისა თვისისათა ხელ დასმულ იქმნა მოძღვრათა და მესაკურთხეთა, რითაც ბოლო მოეღო საეროსა მისსა მოღვაწეობასა.

წოდება მეთვალყურისა.

პადვალსა ზედან გამცვლელი პედაგოგი



ქალ-ვაჟთა თანასწორობა.

ორატორი ქალი. მოგიწოდებთ ყველა მამაკაცებს, მხარი დაგვიჭიროთ ტანჯულ ქალებს, ჩვენ უფლებათა აღდგენა-გათანასწორებაში.

მსმენელნი. ვაშა! ვაშა! ჰეშმარიტია, ჰეშმარიტი!

ორატორი ქალი. მოგიწოდებთ ყველა მამაკაცებს, მხარი დაგვიჭიროთ ტანჯულ ქალებს, ჩვენ უფლებათა აღდგენა-გათანასწორებაში.

მსმენელნი. სისულელეა! ძირს! გაეთრიეთ აქედან!...

ალერსი ჟურნალისტისა.

(პ. გოთუა და ვან-ბრანდტის ძაღლი)

Новости Закавказья: *(ინტერვიუ)* ვან-ბრანდტი გაიღიმა და კბილები გამოუჩნდა. კბილებზე არავითარი დაქანცულობა მას არ ემჩნეოდა. ბაგაჟს აღარ იტყვით? ოცი ფუთი ბაგაჟი ჩამოუტანია თან და წარმოიდგინეთ, დაქანცულობა მაინც არ ეტყობა და სიცილის დროს ყოველთვის აჩენს ხოლმე კბილებს.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო, ეს ვან-ბრანდტის ძაღლია. საუცხოვო „ტოიტერერის“ ჯიშის ძაღლია. და წარმოიდგინეთ, სახელადაც „ამორე“ ჰქვიან. ასეთი განსაცვიფრებელი სილამაზისა და გასაოცარი ჭკუის ძაღლს კაცი ვერსად შეხვდებით. ის პირდაპირ მომჯადოებელი სილამაზისაა და წკმუტუნიც მომხიბლავი იცის. ყველა ამასთან უნდა იცოდეთ, რომ სიგრძით მხოლოდ 18 სანტიმეტრი და 7 მილიმეტრია და კუდიც კი აბია. და ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ძაღლი „ამორე“ ინგლისის კაროლის ნაჩუქარია და მაშინ გაიგებთ, თუ რა ლამაზი იქნება ის. აწვენენ „ამორეს“ ცალკე ოთახში და ცალკე ლოგინში, რომელიც მორთულია მრავალგვარი სამკაულებითა და ლხვა და სხვა და სხვა.

ერთი სიტყვით, ვან-ბრანდტი ძლიერ კარგი მომღერალია და არც დაქანცულობა ეტყობა.

გიური მოღვაწეობისა ჭაბუკი სვიმონი, შემდგომად კურთხევისა დაინიშნა სკოლათა სამრევლოთა მეთვალყურეთ, ჟამსა რომელსა კვალად იჩინა თავი ქანქართა უანგარიშო წარვლინებამან. მაღალ ხარისხოვან და დიდ-მნიშვნელოვან არს მოღვაწეობა ესე სვიმონისა და თუ არ ხანა „წყეულისა“ ერთობისა, სკოლანი სამრეველონი მიღწევდენ განვითარებისა წერტილსა უმაღლესსა.

ერთობის ხანა.

კეთილი ბუნება სვიმონ ხუცესისა ვერ შეეთვისა რა „წყეული“ ერთობის მოთხოვნათა სიმწვავესა, მსწრაფლ იჯმნა სოფლიდან და მიიქცა კვალად ქუთაისად უკუნითი უკუნისამდე.

ცდუნება ეშმაკისა.

მამა სვიმონი, ჟამსა მას შინა, დიდი მოსურნე იყო სასულიერო პირთა არჩევნებით შემოღებისა, რასაცა ქართველი სამღვდელოება „ავტოკეფალიასთან“ ერთად მოითხოვდა სინოდისაგან. და აი ეშმაკმა კვალად განიზრახა ცდუნება სვიმონისა. იმერეთის ყოვ. სამღვდელომ თითონ დანიშნა ბლაღოჩინი ერთი თვინიერ აღრჩევითი წესისა და ბლაღოჩინმან დანიშნულმა „ზევიდან“ განაცხადა ვარი ქვევიდან, ვითარცა მომხრემან „აღრჩევითი“ წესისამან. დასასჯელად ბლაღოჩინისა ურჩისა, წაერთო მას ღირსება ნაბოძები და მიეცა მამა-სვიმონსა, რომელმან მიიღო მოწყალება ესე ურცხვობითა თვისითა. მაგრამ ეღირსა რა სამღვდელოება წესსა მას „აღრჩევითსა“ უმალ განძევებულ განდევნილ იქმნა ბლაღოჩინი ესე სვიმონი ბრანწითა დიდითა იმერულითა და განიხარებდის სატანა მაცდუნებელი მისი.

სვიმონი რედაქტორი.

უმთავრეს ყოველთა საქმეთა სვიმონ მოძღვარსა განიტაცებს საქმე იგი მწერლური. მეოხებითა მისითა და მაგვართა მისთა, გამოიცა ქუთაისად გაზეთი ფრიად კლერიკალური, აღსავსე სიბრძნითა სულიერთა მამათა ჩვენთა. მუნ იხილავთ ცნობილთა პოეტთა სულიერთა და სხვათა ცხოველთა, გარეშე მაიმუნისა, რომლისა შიში დიდ არს მათ შორის.

სიტყვა და საქმე.

განსწავლულნი მეცნიერებითა სემინარიისათა და სხვათა მრავალთა სავაჭრო დაწესებულებათა, რედაქტორნი „შინაურ საქმისანი“ რისხვად მოევლინენ მეცნიერსა მას დარვინად წოდებულსა, რომელი იტყვის: „ძენი ადამიანისანი არიან შთამომავალნი მაიმუნისანი და არა ქანდაკებანი თიხისანი, თანახმად თქმულებისა მოძველო ისტორიისა“. მამა სვიმონი, გაზეთსა შინა თვისსა სიტყვიერითა უსუსურობითა თვისითა „არღვევს“-რა თეორიასა დარვინისასა, მოქმედებითა თვისითა რეგვნულითა, კვალად და კვალად ასაბუთებს თქმულებასა დარვინისასა და იძლევა უტყუარსა მაგალითსა მაიმუნთა თანა თვისისა არა შორეული ნათესაობისასა.

შებრძოლება კანტისა და ლაპლასის მიმართ.

„დაამარცხა“ რა მეცნიერი იგი დარვინი და დაიმტკიცა რა ნათესაობა მაიმუნთა, სვიმონი ეკვეთა ბასრითა კალმითა თვისითა კანტსა და ლაპლასსა შესახებ მსოფლიოს აღორძინებისა, რომლისა გამო დასწერა მან საუკეთესო ნაწარმოები თვისი „იქი-ბოჭიად“ წოდებული. შემდგომად ამისა კვალად სახელისა მოსახვეჭად და დასამკვიდრებლად სასუფევლისა, წარმოსთქვა აზრი ფრიად „ბაქიური“ შესახებ ცოდნა-განათლების საჭიროებისა, რომელსა მოვიყვანთ სრულად:

„ნუ გვიტყუებთ და ვერც დაგიჯერებთ, რომ ცოდნა ადამიანს აკეთილშობილებდეს. გახედეთ კაცობრიობის ისტორიას და თქვენ დაინახავთ, რომ ვინც უფრო დიდი ცოდნის პატრონი იყო, უდიდესი მყვლეფელიც იყ..... დავანებოთ თავი ბევრ მაგალითებს და მოვიყვანოთ თუნდა სენა-

ტორები, პარლამენტის წევრები, გავლენიან გაზეთის რედაქტორები, საზოგადოდ დიდი ნიჭისა და ცოდნის პატრონები და საერთოდ ავაზაკების ბრბო!... (გვ. 50—51).

კუჭი სვიმეონისა.

საზოგადოთ და უწინარეს ყოვლისა კუჭი მოძღვართა ჩვენთა, არს დაწესებულება ფრიად საზოგადო ერევლთათვის და ცნობილ არს დამოკიდებულება კუჭსა და თავსა მოძღვრისა შორის უმეტეს მჭიდრო და საგრძნობელი, ვიდრე ნათესაობა მათი მაიმუნთადმი.

მამა სვიმეონი, როგორც საზოგადოთ მოძღვარნი ჩვენი, მსახურებს მხოლოდ ზნეობის გასაფაქიზებლად და არა ხურჯინისათვის. სარდაფში ყოფნის დროსაც ის მხოლოდ სულს ემსახურებოდა და გაფლანგული ფული, ცნობითა ეშმაკისათა, შესწირა მან გლახაკთა საქმესა. დღეს სვიმეონი ესწრაფვის დეკანოზობასა საკრებულო ტაძარსა შინა და უკვე დამსახურებულისა და ღვაწლ-შემოსილი თავითა ბევრს დაუმკვიდრებს საიქიოს სასუფეველსა.

ექს-ისტორიკოსი.

გურული სცენა.

პროტენკცია.

(აზნაურის ქვრივი მიდის ოზრგეთში აფთეკაში და ემუსაიფება ყოფილ ქალაქის თავს ბ-ნ ვასილ ხუნდაძეს).

— დედა ნუ წამიწყდება, მამა მიცხონდება ამდენი რომ მეყურყუტებია თვითონ ხელმწიფეს ვნახავდი, დედოფალს ვემუსაიფებოდი.—ძვილათაი არ მეღირსა შენი ნახვა ჩემო ვასილ!

— რა გნებავს ჩემო დაო, ადრე თვარ მითხარი ეე გიახლები საქმე მაქვს.

— რა იქნა ოჯო, საქმე რომ გაქ მეც იმიზა მევედი—საქმის კაცი რომ ბრძანდები საქმის გაკეთებაც იმიზა შეგიძლია თვარა სხვასთან რა ჰინდოდა... საქმის კაცი ბრძანდები—საქმეც ბევრი გაქ ფული და სიმდიდრე, კაი ცოლი და კაი შვილები, ღმერთმა გაჩუქოს და გიბედნიეროს, იგინის გაზდით შენი გული გაამხიარულოს. ადესის ქალაქში შენისთანა ბიჭების სტორი სტუტენტები არც კია თურმე, შენი ქალიშვილია—ხემწიფე ვერ დეიწუნებს რძლათ, ღმერთმა კაი ბედი მისცეს, ცოლი —გაყავს და ღმერთმა შეგაბეროს ყოფიერია, უნცროსი გოგოა—მთლათ ანგელოზია. გვარი კაი გაქ და გუჯაბი, აფთეკა ერთი, აფთეკა მეორე, ჭური და მამული, ჩასაფოი ჭიშკარზე გაყავს დამდგარი გენერალსავით, ქალაქის თავი შენ ბრძანდები და რავიცი რამდენი ჩამოვთვალო, ღმერთი არ ხარ და სხვა აფერი გაკლია ამ ქვეყანაზე...

— თქვენ ბატონო იგი მიბრძანეთ რა გნებავთ?

— მეიცა, ყმაწვილო რა მნებავს და შენი სიცოცხლე, შენი კარგათ ყოფნა, შენი დღეგრძელობა. ბებიავ ძღიბლიან თვალში იმიზა გაკოცებ კვერი ჩამიგდეო, შენ ჯვარი გწერია მარა სიტყვაზე ასე იტყვიან. შენ რომ კაცი ხარ, შენ რომ ქვეყნის უკეთესი ხარ რაცხა ჩემისთანა ქვრივს და გაპივრებულსაც უნდა მოხთეს შენი ნაშხეფი... ჩემი სისხლ ხორცი ხარ (მიიხედმოიხედავს) ყაძახსავით უნამუსო კი არ უნდა იყო მასავით ძაღლის ხორცი კი არ უნდა გამეისხა, შენ კეთილშობილი ხარ აზნაური ბრძანდები და მეც ასე, საწყალი კი ვარ მარა რაც უნდა ძაღლი კუდით მიმათრევდეს პატივი შენგან მომითხოვნია მაინც შენი ნაპერი ვარ, მაინც შენი სისხლის ვარ. ცხონებული ჩემი ქმარი რომ კტებოდა ღმერთმა მისი დანაკლისი დღეი შენ შეგმატა—სული რომ ხთებოდა ასე დამიმოწმა: კი ვაკტები მარა იმედათ ნუგეშათ გაპივრების დღეზე სახსენებლათ ვასილს გიტიეთო ყორისფელობამდი—ჯვარი გწერია რატუმ იკადრებ (გეიღიმებს) ასე დამაბარა ჩემს მაგიერობას ის გიქსო... ავათ იყო თუ კარგათ იყო ამტენხანს თავი ისე მევიტანე არე კაცი შემიწუხებია—ახლა კი უნდა შეგეხვეწო და ჩემი ხათრი თვარ გაქ მიცვალებულს უნდა სცე პატივი და შენდა საქებ-სადიდებლად შენდა სასახელოდ, ჩემდა არც ამას გეხვეწები, არა შენ რომ დაგშვენდება ისე რაცხა ჩემი ბიჭის უნდა გამიკლიო... გოროდის კლასი გაათავა მერე გრიაზნოვთან მყავდა აფთეკარის უჩენიკის ეგზამენი დეიჭირა... ახლა შენი მუხლის ჭირიმე შენ ქვესკნელში რაა იგი იცი შენ თვითონ მიხთები რაცხა ადგილში უნდა ჩამანიშნიო.

— აგი ყორიფელი კაია მარა მე ახლა აფთეკაში ადგილი არ მაქ?

— ნუ შამომყარე გულზე შენი ჭირიმე. ადგილი რამ წაგაროვა, შენ თუ ადგილი გაკლია ზღვას ქვიშა კლებია. შენ ჩანიშნე აფთეკის წიგნში კოლია სარდიონიჩ შავარდნაძე ჩემთან არის თქვა და მეტი აფერი უნდა, მერე ბიჭს შენ თუ კი იკადრებ თუ გინდა გიდელი აცვლიე მის დრომდი, მისი დროი მუა და ატესტატი მიეცი, თუ კი მეინდომებ აგი რავა არ შეგიძლია?

— არა ჩემო დაო მაგი პადლოგია მე ამფერ საქმეს ვერ ვიქ, შენ მე რომ გირჩევ ისე ქენი—ახლა აგერ ახალთაობის კაცები მე მცვლიან და ქალაქის თავათ ბებურა ბებურიშვილს აყენებენ, იგი პირდება ქალაქს აფთექის გახსნას წადი იმას შეეხვეწე და ახალ აფთეკაში ადგილს შეგინახავს, უჩენიკობას კი არა პროვიზორობას მისცემს.

— სუ ოჯო, რაფერ გშვენის ხუმრობა აა?! ბებურაის ქალაქის თაობა ვინ გეიგონა, შენს უკეთესი ქალაქის თავი თფილის არ ეყოლება, მე იგიც კი შევიტყვე ტამბაჩოვს თურმე ადესის ქალაქის თავათ უნდოდა ვასილი მარა ვარი თქვაო, რასაკვირველია ვისაც თავისი სამშობლო უყვარს იმას რავა მოსცილდება... ავია თუ კაი აგი ოზურგეთი მაინც შენია—ნუ მეიძულებ, შენი ხელით უნდა გამშვენიერდეს... ბებურამ რა იცის შენი ჭირიმე ბღონწი აფიცერია, იქნება იმის იმედი აქ ახლა რედაქციაა, აფიცერი ვარ და იმიზა ყორიფელი გამივაო... ყორიფელს გეიგონებს კაცის ყური, ბებურაის ქალაქის თავობა ვინ თქვა, ნალევო ნაპრავოს მეტი ნარდის და კარტის მეტი სახუმრო გაცინების მეტი მიდღემჩი არაფერი გუუკეთებია და აწი გაკეთებს საფლავში იმზირება? მე მაინც არ მივალ იმასთან თუ გინდა, შენი ბრძანების არ იყოს, ჩემს შვილს უჩენიკობა არა პროვიზორობა მისცეს... ისევე შენ ჩემო ვასილ, რა ვქნა მე რა მაქ რა მოგაწონო რა დაგპირდე ქვრივმა და ობოლმა კიდევ რაცხას დაგპირდები სულ რომ მისი არჩევი მიწა გამეყიდა გავყიდდი და მოგართმევდი, მარა შენი სიპატიოსნე კაცს ქრთამს რუა შევკადრებ. ისე მიშველე შენი ჭირიმე და სამკდროსასიცოცხლო მიდღემჩი დუუვიწყარი და მიდღემჩი გადუხდელი ვალი დაადევი შენ კესარია შავარდნაძის ქვრივს კნიაგნა გუგუნავას ქალს.

შენ თუ მეინდომებ შენი უქნელი აფერია გუბენატორის გამოცვლა შეგიძლია. შენს იქით საშველ-სახიდებელი არ მაქ იცოდე.

II

(იგივე ბებურასთან იმავე დღეს).

— ბებურის თავი მიცოცხლოს ღმერთმა მიდღემჩი?.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, უკაცრავათ კი ნუ ვიქნები და ვერ გიცანი—ნება მიბოძეთ გკითხოთ ვისთან მაქვს ბედნიერება მუსაიფის?

— რეტუ იკადრეფ, შენი ჭირიმე, შენ კი არა მე ვარ ბედნიერი—მე ახლა რა საკითხავი ქალი ვარ, შენი ჭირი შემეყაროს, ქვრივი და გაპივრებული, ისე ჩვენ ნათესავათაც კი მოვხთებით ერთმანეთს, მე ბატონო თქვენი ძიძის გამზდელის ბიცოლაის კვიდრი ბიძისშვილი, ჩემს ქორწილზე (ვაი იმ დღის მომგონს!) მაყრათაც კი ბრძანდებოდით მაყარი არა ყორიფელი სიკეთე იყავი შენისთანაი ვინ იყო, ყოლი კაცი შენ გკითხულობდა მე რაღა საკითხავი და რაღა მოსახმარი ქალი ვარ თვარა ისე კესარია შავარდნაძის ქვრივი კნიაგნა გუგუნავას ქალი გახლავარ.

— ჰმ! დიახ ახლა მომგონდა უკაცრავათ ბოდიშს ვიხდი (Ну справиться ли мнѣ, я былъ макаромъ и толумбашомъ.) დაბრძანდით ქალბატონო ნითი შეგვიძლია გემსახუროთ რას გვიბრძანებთ.

— ბრძანებამ ჯვარი დაგწერა თქვენს ბრძანებას ვინ გაბედავს მთელი გუბერნია მის ვეზდიანებ თქვენი საბძანებელია—ან თქვენი სამსახურის ღირსი ვინ არის მე ისე სათხოვრათ მოვედი და რავარც თქვენი იმედი მაქვს იმედია ისე მიმიღებთ.

— რას მიბრძანებთ ქალბატონო მე თუ კი რამე შემიძლია თავს რავა დავზოგავ.

— თქვენ რომ არ შეგიძლია იგი რაა ქვეყანაზე, ნამესტნიკი თქვენდა დუუკითხავათ აფერს შობა და გუბენატორი, ვეზნი ნაჩანიკს ხომ რუაც გინდა ისე არონიებ პრისტავები აბა რა სახსენებელია... მე შენი ჭირი შემეყაროს ბევრიზა აფერიზა შეგაწუხებ სულ ერთი ღერი ენა მჭირია შენი და იმედი მაქ ერთი ღერი ენის მობრუნებას არ დამამადლი

— ბრძანეთ ქალბატონო რაშია საქმე?

— ღმერთმა ბრძანება და კარგათ ყოფნა ნუ დაგილიოს...მე ბატონო ერთი ბიჭი მყავს აქანაი ხუცეების კლასი გაათავა მერე თედორე კიკვაძეს მუამზადებიე და ღემნაზიაში აფთეკარის უჩენიკის ეგზამენი დეიჭირა, თქვენ ახლა იმას გთხოვ... საწყალი ჩემი ქმარი რომ კტებოდა, ღმერთმა მისი ღღეი თქვენ შეგმატოს, ასე მითხრა ნუ გეშინია კესარია ობლის მამა ზეცაში ღმერთიაო და ძირს თუ რამე გუუჭირდება ოღონდ ქენი ქალობა ბებურ ბებურიშვილს შიატყობიე და იგი კი უპატრონებსო, ამდენ ხანს ავათ იყო თუ კარგათ იყო არე კაცი შემიწუხებია ახლა ნამეტარი გამიჭირდა გაწუხებ მარა იმედია მაპატიებ... იმას გეევდრები ოზურგეთში თქვენი წყალობით მორე აფთეკა რომ გეიხსნას იმაში ჩამინიშნე უჩენიკათ... შენ ყორიფელი შეგიძლია ხემწიფესთან მიღებული ბძანდები.

— მე ჯერ, ჩემო დაო, რა უნდა გითხრა ბავში არ იყო და აბრამს ათქნევდენო ისე ხომ ვერ ვიქ—ჯერ მე არც ქალაქის თავი ვარ და არც

აფთეკა არის აბა რა უნდა შეგპირდე. ვასილი უნდა გენახა ის ჩანიშნავდა აფთეკაში ამას რა დიდი ამბავი უნდოდა.

— რა მოგახსენო ბატონო ბებურ იკი, გაჭივრებული ვარ მარა ისე ღმერთმა ნუ გუუჭივროს კესარია გუგუნავას ქალს, რომ გუშინდელ მუჯიკს ვასილას ვსთხოო რამე, ერთი იმიზა არ ვსთხოვ რომ მართალია კი აზნაურია მარა ახალ ნაშუარი აქ, მეორეც სა მაქ ამის გასაძღომი ქრთამი ქვაი ჩაასკტა მუცელში! მესამე მიზეზი ყველაზე უფრო საპატიოა მისას რომ მივიდე და ბევიხმო ველაპარაკო ვინცხას მისი ამხანაგი, მასავით ხულიგანი ვეგონები—მისი ხულიგანობა მის პიშკარზე შიეტყობა გენერალსავით რომ ჩასავოი ყავს ჭიჩენილი, იგი თუ კაი კაცი იყოს მთავრობის უნდა ეშინოდეს თვარა ხალხის მე რომ ქვრივი ვარ მე არ შემშინებია. კარიზა გადარაზი არ გამიყრია ისე მძინავს... ოქვენ რავაც გინდა ისე ბძანეთ ჩემდენი ჭკუა ნეკის ფხილში გაქ მარა მე კი ისე ვიტყვი ჩემი სულელი ჭკუით იგი კაცი აფერი სანდოა, არ არის ვინც მთელი ქვეყნის მუცელში ჩაგდებას მოინდომებს. აფთეკა იმას, აფთეკის მაღაზია იმას, ქალაქის თავობა იმას, ბერიძის სოული იმას, ხუნდაძისოული მას, გოგიტიძის მიწა მას, პასკის ყიდვა, საპონის კეთება მას და რა ვიცი რამდენი რამე... ამდენი საქმე ქონდა კიდევ ქალაქის თავობას ვიზამო და იგი იყო ქე გადააბრაწეს თავზე. იმის მაგიერ რომ რაცხა ხმაი ამოიღო კრილოვს მადლობა მიართვა კაი ქენიო, ამფერმა კაცმა თლათ რომ გამაკეთოს მისი რავა მინდა რამე...

— რა მოგახსენო ქალბატონო, თუ ამირჩიეს ქალაქის თავად და თუ დამამტკიცეს ვეცდები აფთეკის საქმეს და თუ ადგილი დარჩება ვიქონიებ სასეში თქვენს ვაჟს.

— აგირჩევენ, შენს უკეთეს ვის ეირჩევენ შენ აქანაი მომწყვარ ოზურგეთში კი არა პეტერბურგში ვარგხარ მარა შენი აქ სამშობლოა რაც უნდა იყოს და შენსას უნდა წაადგე რაც შეგიძლია და გეფიცებით დაგამტკიცებენ აბა რას იზმენ, ჯვარით ეპოლეტებით გაქ გატენილი გულ ბკერდი, მარა აგიც კი ახლანდელ დროში აფერი გასაკვირი იქნება ქე გიდანოსონ რამე, დაწვას არ დაგვანებებსო იჩივლონ—ისე შენი სახელის პირიმე, ყოველ შემთხვევაში გქონდეს სახეში—თუ რამე იქნება პირველი ადგილი ჩემი შვილის უნდა დარჩეს... შენი უქნელი რაა ქვეყანაზე და მეც შენს იქით არსად წამსვლელი არ ვარ, მომკლავ შენ, მომარჩენ შენ?!

(წაილაპარაკებს თავისთვის)

ღმერთმა ორივეს თავი მომთხოვა ვასილაისაც, ბებურაისაც, აღმართი დაღმართი არც ერთია წაღმართიო. ერთი შეწვი მორე შეცხე. ჩემდა ორივე ერთია ორივეს ტირილზე გავძეხი. ამ ბიჭის საქმე კი გაწყვება რამე და მერე ერთი გამიცვდა და მეორე გამომეშხაფა.

პიტნა

ამბები პროვინციისა.

სამტრედია. რამდენს არა ცდილობენ ჩვენი პარიკმახერები კვირაში თორმეტი დღე მაინც გამოიყვანონ, მაგრამ სულ ამაოდ, ათზე მეტი მაინც არ მოხერხდა და არა. ან კი რას იზამ, ანდაზა ამბობს: „ფეხები იმდენზე უნდა გასჭიმო, რომ საბანი გეყოსო“, და ესენიც ცდილობენ შეგირდებს ისე გააჭიმვიონ ფეხები, რომ ქანქარი ეყოთ.

არც მედუქნეები არიან მადლიერი ძველი ამბებისა. აი მაგალითად, ერთ დროს „ფოთის ქარხნიდან“ ძლიერ იაფათ შემოჰქონდათ ჩაი-შაქარი და სხვა სანოვაგეები. ექსპორტიორი ბ. მელიტო საყოველთაო მფარველობის ქვეშე იმყოფებოდა და ის კი არა, ამბობდენ: „როგორც ერთობის კაცს, ისე სდევნიან, თორემ ვინ რას ერჩისო“. ახლა კი, როცა მელიტო სამტრედიას დაუბრუნდა, ხელები გაიქნ-გამოიქნია მიწის შესახებ, ყველანი ასე უპასუხებენ: „შე კაი კაცო, ეგ მიწაც ხომ ფოთიდან არ ჩამოგიტანია, ეს ხომ სამტრედიელიაო“.

არც მწვანე ბაზრის საქმეა საკეთილოდ. არ იქნა და არა, ერთი მკვიდრი ადგილი ვერ გამოუნახეს. ვერ უშველა ვერც მაზრის უფროსის ჩამოსვლამ. ახლა ფიქრობენ, ისევ რიგ-რიგობით ყველა ეზოებში გამართონ, თუ ამაზე ბ-ნი მელიტო დაიყოლიეს.

პურიშკევიჩი.

—

დიდი ჯიხაიში. ძმაო ეშმაკო! არას დროს არ ყოფილხარ ჩვენში ისე საჭირო, როგორც ახლა, მაგრამ ვაი ჩვენს დღეს, რო საშინელი ტალახებია და ვერ გამოატან. ღამით მაინც ხომ შეუძლებელია მოგზაურობა და დღითი ათასი მახის დამდგმელი შეგხვდება. ჩვენი მამასახლისი ივ. ვაშაკიძე ზის ძმაო, თავისთვის კანცელარიაში და „ეალობებს“ არჩევს. შეიძლება, ამის გამო იყო, რომ ბ-ნ მამასახლისს მის მიერ წამოყენებული კანდიდატები, აკაკის იუბილეზე გასაგზავნათ (ქ. ლორთქიფანიძე და ს. ბიბილეიშვილი) ჩაუშავეს და მათ მაგიერ თავისი დელეგატები გაგზავნეს.

სიმართლე გითხრა არც სტრაჟნიკები იწუხებენ თავს საქვეყნო სამსახურზე და თუ დრამის ფულისა, ან სხვა რომელიმე გადასახადის აკრების საქმე არ შეფერხდა, ისე თავს არაფერზე აიტკივებენ.

ასე ძმაო, საქმე და თუ ჩამოხვალ, შენ იკი.

ფოსტალიონი.

—

ბათუმი. დიდო ეშმაკო! შენ უეჭველათ მოგეხსენება, რომ ბათუმის ქალაქი გამოერიცხა ჯოჯოხეთს და თავის ქუჩებს ღამ-ღამობით ელექტრონით ანათებს. ეს ელექტრონი გამომდინარეობს იმ სადგურიდან, რომელსაც ერთი ფრიად ჯოჯოხეთური ინჟენერი განაგებს. ის ძლიერ ეშმაკი კაციც არის და კანტორაში რომ შეხვიდე,

ის იქ დაგხვდება უთუოდ,
დაფიქრებული, მდუმარე...
„სადურმიშხანო“ საქმისთვის
სტოლისა გვერდით მჯდომარე.

ზისა და ფიქრობს ხოლმე, მაგრამ იცოდე, რაზედ იტკივებს თავსა?! შენ რომ ეს იცოდე, უპირველეს ადგილს დაუმტკიცებდი მას ჯოჯოხეთსა შინა. მან, ბატონო ჩემო,

ორი მუშა ამ სადგურის
გარისხა და გააქცია,
(თითქო იმათ დაედგინოთ:
ააფეთქონ ეს სტანცია),
ამ სიცრუით დააჯერა
უპრავა და პოლიცია
და სამდურავს ვერ აუხვალ
თუ მისთვის არ მოგიცხია.

ყოველ შემთხვევაში, ამათ გარდა კიდევ ნახავ ამ სადგურში ორიოდ კაცს, რომლებსაც დიდ სარგებლობას მოუტანს შენი მათრახის ოპერაცია. ერთი, ძმაო, მესკლადეა და მეორე კი მისი თანაშემწე.

ესენი ერთი-მეორის
მოკავშირე ბიჭებია...
მადლი აწაპნ-აქუცვისა
მათ მაღლით მინიჭებია,
სკლადიდან საპონ-ბრეზენტი
სახლშიგან წანაღებია,
ამ ვაუბატონებს უპოვნეს
საწოლ ქვეშ დანადებია.
შენც გააწვინე ლოგინზე
ანაწაპნავი გუდითა
და ისე მისცხე მათრახი,
ქვა ასროლინე კუდითა.

თუ მოგესურვოს, უპრავაშიაც შეიარე, რადგანაც იმათაც კარგათ იციან, რაშია საქმე, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ და მათ უყურადღებობას შენ მიაქციე ყურადღება.

როსტევანი.

—

განჯა.

სიზმრათ ვნახე, რომ ეშმაკი,
განჯაშიაც მოსულიყო
და მათრახით დარეოდა,
ვინც კი ამის ღირსი იყო.
ჯერ ესტუმრა ერთ მოხელეს,
ვოკზლის უბანს რომ განაგებს,

Э 934 ᲡᲐ 1902

ანგარიში მოსთხოვა მას:
ამდენ ფულებს სიდგან იგებს...
ტყვილათ გამვლელს რათ იჭირავს,
რატომ არ ითმევს პასპორტებსა,
ქურდ-ბაცაცებს რათ ინახავს,
ხელს რათ უწყობს შანტაჟებსა.
ის-ის იყო, რომ მოხელეც
საპასუხოთ განემზადა
და მათრახიც მოხვდა ზურგზე...
ეთქვა რამე, არ დასცალდა.
ეს საქმე რომ მოათავა,
შემდეგ სხვები ინახულა,
ისეთები რამე ნახა,
ენითაც კი რომ არ თქმულა.
სახლს „სასტუმრო“ აწერია,
ფიქრობს, შევა მოისვენებს
და რა იცის თუ ამ სახლში
ასეთ რამეს გაიგონებ:
„ეს . . . . . ჩემი არი,
შენ მეორე წაიყვანე...
არ იქნება... კი იქნება...
ბანკი... ტუზი აიყვანე.“
ეშმაკმა თქვა: აქ მათრახი
არც კი იყო მოსატანი,
ბევრიც მოცხო, ვერ შეიტყობს,
მათი სქელი ზურგის კანი.
გამოვიდა ისევ გარეთ,
მოიხედა ცოტა განზე,
—„ჩაი, რძე და შოკალადი“,
წაიკითხა დუქნის კარზე.
„ჩაი მართლაც კარგი არის“,
გაიფიქრა გუნებაში
და შევიდა, ისე როგორც
მასპინძელი თავის სახლში.
აქ მან ნახა თავმოყრილი,
თუ კი იყო სადმე მთვრალი,
თითო სკამზე ორი იჯდა:
ერთი კაცი, ერთი ქალი.
ვინ გინდათ, რომ აქ არ იყო
დედა-მიწის ცოდვის შვილნი,
ერთ დროს ფხიზლათ გამომყურნე,
დღეს კი ღვინით გაჟღენილნი.
ეშმაკიც კი იცნო ბევრმა,
განიზრახეს დამალოდნენ,
შერცხვათ, რადგან წინათ თურმე,
ისინიც კი „ეშმაკობდნენ“.
გულმოსული ეშმაკი კი
„გოროდისკენ“ გაემგზავრა.
და „გოროდში“ თუ რა ნახა,
შემდეგ იყოს, დღეს ეს კმარა.

ლეონიდე.



ვერაფერს დამაკლებს, მაგრამ მაინც დამსვარა ამ წყეულმა.

ლექსიკონი

(იმ სიტყვებისა, რომელებიც ქანქარის კაი წყაროს წარმოადგენენ, კაკარდიან, უკაკარდო და სხვადასხვა ჯურის მატლებისათვის)

(მიბაძვა).

ა

ანარქისტი, არესტი, არესტანტი, ავტოკეფალია, ავტონომია, აგენტი, აფთიაქი, ალმეზა.

ბ

ბილეთი, ბურჟუა, ბოიკოტი, ბანკი, ბაქარა, ბახუსი.

გ

გურული, განათება, განათლება, გამოძიება, გაზომვა (სასალდათო ყმაწვილ.)

დ

დაშნაკცუტუნი, დამპალი (საქონელი), დრამა (სახუცო ქანქარს ნიშნავს).

ე

ებრაელი, ესერი, ესდეკი, ექსპროპრიაცია, ერთობა.

ვ

ვაჭრობა, ვარაუდი, ვაგონი (რკინისგზის კურდღლებისათვის).

ზ

ზავოდი (წმიდა სანთლისა—ბაგალითათ), ზამთარი (მეშეშეთათვის).

თ

თამასუქი, თოფი, თოკი, თათარი, თავფეხი (ცხვრებისა მღვდელთათვის).

ი

იარმუკა, ირკუტსკი, ივერია, იუბილეი, ინგუში.

კ

კაპიტალი, კაკარდა, კანტორა (თუნდ საორსულო კასის), კარტი.

ლ

ლოკაუტი, ლუკმა, ლეჩხუმი, „ლაპორტი“, ლუქი.

მ

მარქსისტი, მრეწველი, მარკა, მრევლი, მხევალი.

ნ

ნიხრი, ნახალოვკა, ნარდი, ნავარდი, ნავთი, „ნიშადური“.

ო

ობოლი, ოპეკუნი ოქმი (პოლიციელთათვის), ოქტომბერი (პოგრომშჩიკების.)

პ

პასპორტი, პრაგონი, პროსტიტუცია, პროტოკოლი, პროკურორი.

ჟ

ჟეტონი, ჟურნალი (თუნდ საკლასო), ჟულიკობა, ჟამი.

რ

რევოლიუცია, რეაქცია, რევოლვერი, რეპრესია, რეკლამა, რეზინი.

ს

სპერმატინი, სეპარატიზმი, „სკანდალი“, საიდუმლო (შენახვა საიდუმლოსი), საკურთხეველი, საკურთხი, საკვები თანხა.

ტ

ტარშინა, ტაინი, ტიკჭორა, ტიბიკონი, ტრაქტატი, ტყვია.

უ

ურია, უფროსი, უჩასტკა, უსტავი, უფალი, უწყება.

ფ

ფურჩული, ფაბრიკა, ფონდი, ფიცი (ცრუ მოწმობის დროს), ფარდული (აბრეშუმის სავაჭროთ).

ქ

ქუჩა, ქოჩორი, (პრისტავი მიქიევი ემტერებოდა—კრეკავდა).

ღ

ღალატი, ღალა, ღმერთი, ღონე ღამე, ღვედი.

მაესტრო

ვთხოვთ პატივცემულ ხელის-მომწერთ რომ „ეშმაკის მათრახის“ სახელზე ფულს ნუ გამოგზავნიან, თორემ რედაქცია ვერ მიიღებს. უნდა გამოგზავნონ თეოფილე ბოლქვაძის სახელზე. ვისაც უკვე გამოგზავნილი აქვს უნდა შესცვალოს ადრესი.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3. გამომცემელი ᲕᲚ. ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.